**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# თეოფანე ბიზანტიელი

თეოფანე ბიზანტიელი Theophanēs Byzantios) VI ს. II ნახევრის ბიზანტიელი ისტორიკოსი. მისი საისტორიო თხზულება მოიცავს 566–581 ამბებს. შემორჩა მხოლოდ ფრაგმენტები ფოტიოსის (IX ს.) თხზულებაში „ბიბლიოთეკა". ერთ-ერთ ფრაგმენტში მოთხრობილია სპარსეთის წინააღმდეგ 572 ქართლისა და სომხეთის აჯანყების შესახებ, მოხსენიებულია ქართლის მთავარი გურგენი. აქვე პირველადაა ნახსენები თბილისი, „ტიფილისის" სახელით როგორც იბერიის დედაქალაქი.

*წყარო:* გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 3, თბ., 1936.

***ნ. ლომოური***